

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების
შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოში ქართული საწარმოების მიერ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს საწარმოებმა სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვების და უცხო ქვეყნების საფონდო ბირჟებზე განთავსების გზით, რომელიც ფულადი სახსრების მოზიდვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, მოახდინონ უცხოური ინვესტიციების დაინტერესება და უცხოური კაპიტალის საქართველოში მოზიდვა. ზემოაღნიშნულის ხეშეწყობის მიზნით, რათა მიმზიდველი გახდეს საქართველოს საწარმოების სასესხო ფასიანი ქაღალდებში ფულის დაბანდება კანონპროექტი ითვალისწინებს ასეთი სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტების დაბეგვისგან განთავისუფლებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით 196-ე მუხლს ემატება მე-8 ნაწილი, რომლის თანახმად საქართველოს საწარმოების სასესხო ფასიანი ქაღალდებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე იქნება რეგისტრირებული, გადახდილი პროცენტები არ დაიბეგრება საქართველოში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან და შესაბამისად დაფინანსების წყაროსთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დაგეგმილი საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, ვინაიდან იგი ძირითადად დაკავშირებულია მომავალში ინვესტიციების სავარაუდო მოზიდვის შემთხვევაში გადასახდელი პროცენტების დაბეგვისგან განთავისუფლებასთან.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

